




18.12.2013

"მწვანე ალტერნატივასა" და ილია ელოშვილს სასამართლომ მორიგებისთვის დრო მისცა

ახალი ამბები



შეუერთდი განხილვას

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ ენერგეტიკის მინისტრის მოადგილეს ღირსების, პატივისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის სასამართლოში უჩივის. ორგანიზაცია მოითხოვს, რომ ილია ელოშვილმა თავისი განცხადება საჯაროდ უარყოს და მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 1 აშშ დოლარი გადაიხადოს.

დღეს საქალაქო სასამართლოში პირველი, მოსამზადებელი სხდომა გაიმართა. სხდომას ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე არ დასწრებია. მისი წარმომადგენლების განმარტებით, ელოშვილი უამინდობის გამო გაჩენილი პრობლემებზე სამუშაოდ აჭარაში იმყოფება.

მოსამართლე ასმათ კობრეიძის შეკითხვაზე, რამდენად აქვს მნიშვნელობა იმას, რომ

სარჩელი „მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილის“ წინააღმდეგაა თუ "მოქალაქე ილია ელოშვილის" მიმართ, ნინო გუჯარაიძე განმარტავს, რომ ელოშვილის თანამდებობა ამ შემთხვევაში დამატებითი გარემოებაა.

„ბატონი ილია საჯარო მოხელეა და მისგან ამგვარი განცხადება განსაკუთრებით მძაფრად აღიქმება. ინტერვიუ მან, თანამდებობის პირმა, სწორედ ამ სტატუსით მისცა და შესაბამისად, ჩვენც ვუჩივით როგორც მინისტრის მოადგილეს“, - აცხადებს ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი.

„მწვანე ალტერნატივა“ არასამთავრობოების რადიკალურ ფრთას განეკუთნება. ყოველთვის უპირისპირდება ყველა იმ წამოწყებას, რაც ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია“, - ეს განცხადება ილია ელოშვილმა რადიო „კომერსანტთან“ 19 სექტემბერს მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. მინისტრის მოადგილე იგივეს ამბობს სასამართლოსთვის წარდგენილ შესაგებელშიც.

"მწვანე ალტერნატივა" დაუსაბუთებელი განცხადებებით "აშკარად ეწინააღმდეგება ენერგეტიკის სამინისტროს მნიშვნელოვან წამოწყებებს და ცდილობს ხელი შეუშალოს ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი პროექტების განხორციელებას, მათ შორის ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით. ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, ენერგეტიკის მინისტრს ინვესტორი კომპანიის ინტერესების ლობირებაში, მოსახლეობის ზეწოლაში და გარემოსდაცვითი ორგანიზაციების დისკრედიტაციის მცდელობაში ადანაშაულებს, რაზეც მეტყველებს მასმედიის საშუალებებში მოსარჩელის მიერ გამოქვეყნებული არაერთი სტატია და გაკეთებული შეფასება, მათი მონაწილეობით ჩატარებული ქუჩის აქციები, რომლის ერთ-ერთი მაგალითია აქცია – „არა ხუდონჰესს და სხვა დიდ ჰესებს“, - ვკითხულობთ ელოშვილის პასუხში.

მოსამართლე ასმათ კობრეიძის განმარტებით, ამგვარი დავები სპეციფიკური, რთული და საინტერესოა, რადგან ღირსების შემლახავი განცხადებების შესახებ დავა უპირისპირდება ისეთ მნიშვნელოვან უფლებას, როგორც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაა.

„მტკიცების ტვირთი კი ასეთ დროს მოსარჩელეზე უფროა, რადგან თქვენ უნდა დაამტკიცოთ იმ ზიანის არსებობა, რომელიც მოგადგათ“, - უთხრა მოსამართლემ ასოციაციის წარმომადგენლებს.

სხდომა თითქმის ერთ საათს გაგრძელდა, რამდენიმე შეკითხვის შემდეგ მოსამართლე ცდილობდა დაერწმუნებინა მხარეები, გამონახონ საერთო წერტილები და იფიქრონ იმ შესაძლო გზებზე, რითაც შეიძლება სასამართლო დავა თავიდან აიცილონ. ამ შემთხვევაში კი „გააერთიანონ ძალები და ქვეყნისთვის სხვა სასიკეთო საქმისკენ მიმართონ“.

თუმცა ნინო გუჯარაიძე ამბობს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციის არსებობის მიზანი ისედაც სწორედ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა და მისი დახმარებაა.

„სამწუხაროა, რომ ეს ხშირად ბრძოლად და წინააღმდეგობად აღიქმება. მაშინ, როცა ჩვენი მიზანი სწორედ დახმარებაა და არა ბრძოლა. საქმე ისაა, რომ ბატონი ილიას განცხადებამ ბევრი რამ შეცვალა ჩვენი და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართაც, თუნდაც ნდობა და დამოკიდებულება იმ ადამიანებისა, რომლებსაც სჯერათ და ენდობიან ბატონ ილიას“, - ამბობს გუჯარაიძე.

მოსამართლის გადაწყვეტილებით, მხარეები 25 დეკემბრამდე შეატყობინებენ ერთმანეთს იმ შესაძლო ვარიანტების შესახებ, რაზეც შეიძლება მორიგება შედგეს.

მომავალი სხდომა კი საქალაქო სასამართლოში 24 იანვარს, 10 საათზე ჩაინიშნა.

„მწვანე ალტერნატივა“ სასამართლოში იგივე მოთხოვნით ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძესაც უჩივის.



Add a comment...

Post to Facebook

Posting as Natalia Ksovreli (Change)

Comment

Facebook social plugin

